

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შექმნის მსურველებმა პუბლიკაციის შესაბამისი ღირებულების თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი: 134983

მიმღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
საინდეტიფიკაციო კოდი - 202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოცემის შემთხვევაში ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ გამოწერილი ჟურნალის საჭირო რაოდენობის შესახებ .

ცენტრის სხვა გამოცემების შექმნის მსურველებმა ქვითარი უნდა წარადგინონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ოფისში, სადაც გადაეცემათ გამოწერილი გამოცემები.

ქ.თბილისი 0167
გმირ კურსანტთა ქ. N1

ცენტრის გამოცემების შექმნა ასევე შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“-ს და „ლატავრას“ წიგნის მაღაზიებში.

„პრიმა ჯგუფი 2009“- ქ. თბილისი, დადიანის ქ.43. ტელ: 96 62 38

„ლატერნა“ - ქ. თბილისი, შ.რუსთაველი N 16, ტელ: 99 83 33

ბუდაპეშტის ქ. N 3ა, ტელ: 38 35 56

სავაჭრო ცენტრი ქარვასლა 2 სართ. ტელ: 66 21 27

მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ შემდეგი გამოცემები:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი



ღირებულება: **5 ლარი**

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის



დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის პირველი გზამკვლევია, რომელიც შეიქმნა სკოლის დირექტორის სტანდარტზე დაყრდნობით და მოიცავს ამ სტანდარტით გათვალისწინებული საკითხებისა თუ კომპეტენციების ანალიზს.

სახელმძღვანელო დაეხმარება სკოლის დირექტორებს სკოლის ეფექტურად მართვასა თუ სერტიფიცირებისთვის მზადებაში. თითოეული თვის ბოლოს წარმოდგენილი სიტუაციური მაგალითები ხელს შეუწყობს წიგნში განხილული საკითხების პრაქტიკაში დანერგვასა და განხორციელებას.

ღირებულება: **10 ლარი**

მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო



კოდექსზე მუშაობის დროს, ცენტრის წარმომადგენლებმა საქართველოს ყველა რეგიონის სკოლებში სამუშაო შეხვედრები გამართეს. სახელმძღვანელოში მოცემულია რეალური სიტუაციები, რომლებზეც შეხვედრების განმავლობაში მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები საუბრობდნენ. ყველა კონკრეტულ შემთხვევას თან ახლავს განათლების სპეციალისტისა და ფსიქოლოგის კომენტარები, მათი შეფასებები, მოსაზრება იმაზე, თუ რა იქნებოდა სასურველი გამოსავალი ამა თუ იმ ეთიკური დილემიდან.

ღირებულება: 5 ლარი

მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად:

1. *განვითარებისა და სწავლის თეორიები;*
2. *სწავლება და შეფასება;*
3. *სასწავლო და პროფესიული გარემო*



სახელმძღვანელო აგებულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე და მოიცავს იმ საკითხებს, რომლებსაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი აერთიანებს და რომლებიც ახალი სტანდარტის შექმნამდე, გარკვეულწილად, სიახლეს წარმოადგენდა მოქმედი პედაგოგებისთვის. სახელმძღვანელო წარმოადგენს ძირითად რესურსს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებლად.

ღირებულება: 9 ლარი

კითხვის ეფექტური მეთოდები

სასწავლო-მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი



წარმოდგენილი გზამკვლევისა და თანდართული ფილმის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლებს წიგნიერებაზე ორიენტირებული საკლასო გარემოსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, რაც, თავის მხრივ, თითოეული მოსწავლის აკადემიური წარმატების ყველაზე მყარი საფუძველია ნებისმიერ საგანში. მასალა მოიცავს კითხვის სწავლებისა და სწავლის საუკეთესო, მრავალგზის აპრობირებულ მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მოსწავლეთა კითხვით უნარ-ჩვევებს. მოცემული მეთოდები მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა და მათი სასწავლო პროცესში დანერგვა სწრაფად იძლევა სასურველ შედეგს. ამგვარად, წარმოდგენილი მასალის დამუშავების გზით, მასწავლებლები შეძლებენ, კიდევ ერთხელ გაიაზრონ კითხვის მნიშვნელობა თავიანთ საგანში (საგნობრივ ჯგუფში), გამოკვეთონ ეფექტური კითხვის ძირითადი მახასიათებლები და აღიჭურვონ კითხვის სწავლების რამდენიმე საუკეთესო მეთოდით.

ღირებულება: 8 ლარი

სტატიები განათლების საკითხებზე, 2010



აღნიშნული კრებული წარმოადგენს სხვადასხვა უცხოურ გამოცემაში მოძიებული სტატიების კომპილაციას. ყველა სტატიას მთავარი თემა – განათლება აერთიანებს,

სხვადასხვა სპეციფიკურ საკითხს მიმოიხილავს და წარმატებულ უცხოურ გამოცდილებას გვიზიარებს. აგრეთვე, კრებულში წარმოდგენილი სტატიები ეხმიანება იმ საკითხებს, რომელთა ცოდნაც მასწავლებელს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება და, ასევე, ზოგადად, განათლების მიზნებს, პრიორიტეტებსა და კონცეფციას განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიოში.

ღირებულება: 5 ლარი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი



დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდურ გზამკვლევაში თავმოყრილია ის მეთოდები, რომელთა გამოყენებაც მასწავლებელს დაეხმარება, საინტერესოდ დაგეგმოს და წარმართოს გაკვეთილი. ასევე, ხელს შეუწყობს პატარებს წერისა და კითხვის უნარებისა და გარემოს შეცნობის პირველი ელემენტარული უნარების ჩამოყალიბებაში. სახელმძღვანელოში თავმოყრილი მეთოდების ცოდნას მასწავლებლის პროფესიული სტანდარტიც გულისხმობს. ამდენად, წარმოდგენილი გზამკვლევი მნიშვნელოვანი რესურსია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლისათვის, როგორც პროფესიული განვითარებისათვის, ასევე სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მოსამზადებლად.

ღირებულება: 7 ლარი

მასწავლებლისა და სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსები და მოსწავლის ქცევის კოდექსი


სასწავლო პროცესის მაღალკვალიფიციურად წარმართვისათვის მთავარი დატვირთვა მასწავლებლებზე და სკოლის დირექტორებზე მოდის. ისინი თავის ქცევით მაგალითს აძლევენ მოსწავლეებს, როგორცაა კორექტული ქცევა საზოგადოდ თუ კონკრეტულ სიტუაციაში. ოჯახში ან ოჯახის გარეთ, მასწავლებლისა და დირექტორის ეთიკურად გამართულ ქმედებას გადამწყვეტი როლი ენიჭება. მასწავლებლისა და დირექტორის

ეთიკისა და მოსწავლის ქცევის კოდექსი შემუშავდა მოქმედ მასწავლებლებთან, დირექტორებთან და განათლების სპეციალისტებთან ხანგძლივი მუშაობის შედეგად.



ღირებულება: 5 ლარი

ჟურნალი "მასწავლებელი"



ჟურნალი "მასწავლებელი" მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობის, ინფორმირების, გამოცდილების გაზიარების, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის იდეას ემსახურება. ინტენსიურად აწვდის მკითხველს ინფორმაციას განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ. "მასწავლებელი" ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოდის და ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება; ასევე, ხელმისაწვდომია პრესის გავრცელების ადგილებში.

ჟურნალის დირეზულეზა 1 წლით: **12 ლარი**